

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	816,435	872,983
არამატერიალური აქტივები		51,040	51,170
სულ გრძელვადიანი აქტივები		867,475	924,153
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	855,624	894,412
გაცემული ავანსები		7,615	1,997
მიმდინარე მოთხოვნები	3	1,155,432	395,392
გადახდილი გადასახადები			15,754
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	4	4,869	183,295
სულ მიმდინარე აქტივები		2,023,540	1,490,850
სულ აქტივები		2,891,015	2,415,003
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		62,093	273
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		1,671,689	1,785,195
სულ საკუთარი კაპიტალი		1,733,782	1,785,468
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		331,921.64	393,772
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		331,922	393,772
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	472,240	192,718
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		53,071	3,011
მოკლევადიანი სესხები		300,000.00	40,034
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		825,312	235,764
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,891,015	2,415,003



დირექტორი

გიორგი კაკოჩაშვილი

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	3,975,637	6,969,917
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(2,841,812)	(4,648,095)
მთლიანი მოგება		1,133,826	2,321,823
ადმინისტრაციული და ხელფასის ხარჯი	7	(1,116,953)	(1,362,509)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი		(59,238)	(46,155)
საოპერაციო მოგება		-42,365	913,158
საპროცენტო ხარჯი		(67,819)	(24,129)
არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი		258	5,173
საკურსო სხვაობა		(2,502)	(11,742)
სხვა ხარჯი		(1,078)	
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(71,141)	(30,697)
მოგება დაბერგვრამდე		(113,506)	882,461
მოგების გადასახადი			-
სულ სრული შემოსავალი		(113,506)	882,461
სულ სრული შემოსავალი		(113,506)	882,461



დირექტორი

გიორგი კაკოჩაშვილი

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	(113,506)	882,461
კორექტირება:		
ცვთის ხარჯი	59,238	46,155
საკურსო სხვაობით მიღებული შედეგები	2,502	11,742
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(51,766)	940,358
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(760,040)	(327,168)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(38,789)	19,332
ცვლილებები სხვა მიმდინარე მოთხოვნებში	(5,618)	1,809
ცვლილებები გადასახადებში	(15,754)	27,779
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	361,384	(400,087)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(510,584)	262,023
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	10,268	(434,773)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	(130)	(49,870)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	61,820	273
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	71,958	(484,370)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი გრძელვადიანი ნასესხები ფულადი სახსრებიდან	-	393,772
შემოსავალი მოკლევადიანი ნასესხები ფულადი სახსრებიდან	259,966	(12,180)
განაწილებული დივიდენდი		
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	259,966	381,591
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	234	362
ფული და ფულადი ექვივალენტის წეტო ცვლილება	(178,426)	159,606
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	183,295	23,689
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	4,869	183,295

 

დირექტორი

გიორგი კაკოჩაშვილი

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	62,093	1,671,689	1,733,782
საწესდები კაპიტალის გაზრდა	61,820	-	61,820
პერიოდის წმინდა ზარალი	-	(113,506)	(113,506)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	273	1,785,195	1,785,468
საწესდები კაპიტალის გაზრდა	273	-	273
პერიოდის წმინდა ზარალი	-	882,461	882,461
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	902,734	902,734
საწესდები კაპიტალის გაზრდა	-	-	-
პერიოდის წმინდა ზარალი	-	823,296	823,296
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	-	79,438	79,438

 

დირექტორი

გიორგი კაკოჩაშვილი

შპს სემბე 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

ძირითადი საქმიანობა

შპს „სემბერ“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2019 წლის 9 აგვისტოს,, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ზესტაფონის რაიონი, დაბა შორაპანი, ვაჩნაძის ქ. N14

კომპანიის დამფუძნებლებია გიორგი კაკოჩაშვილი 50% წილით და მამუკა ცქიტიშვილი 50% წილით.

კომპანიის ძირითადი აქტივობა მოიცავს ნარჩენი მეტალურგიული მასალების ყიდვას, დამუშავება ფრაქციებად და შემდგომი რეალიზაცია. ასევე ახორციელებს ტექნოგენური ნარჩენის მოპოვებას და შემდგომ მის რეალიზაციას.

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	4,774	183,218
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	95	77
სულ	4,869	183,295

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული არსებითი ღირებულების უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	1,150,734	395,392
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4,698	
სულ მოთხოვნები	1,155,432	395,392

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას და არის სწრაფად ბრუნვადი რის გამოც არ

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2022	31.12.2021
სასაქონლო ფასეულობები	415,940	764,687
საწვავის ტალონები	3,493	5,868
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	436,191	123,858
სულ	855,624	894,412

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას, ხელოვნების ნიმუშებსა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- შენობა-ნაგებობა 30-40
- ოფისის აღჭურვილობა 10-20

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
 - ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.
- ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკური საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

	შენიშნა- ნაგებობები	მრავალწლიანი ნარგავები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2019						1,450	1,450
დანამატები	21,981		167,745	13,050	251,232	46,222	500,230
აქტივის ჩამოწერა							-
ცვეთა პერიოდისთვის	(670)		(5,282)	(1,179)	(7,745)	(2,440)	(17,316)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა							-
ბალანსი 31/12/2020	21,310		162,463	11,871	243,487	45,232	484,365
დანამატები	314,380			7,786	111,231	1,246	434,643
აქტივის ჩამოწერა							-
ცვეთა პერიოდისთვის	(2,227)		(11,189)	(3,164)	(19,841)	(9,604)	(46,025)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა							-
ბალანსი 31/12/2021	333,463		151,275	16,493	334,877	36,874	872,983
დანამატები		2,500	58,789	656		14,497	76,442
აქტივის ჩამოწერა					(73,881)		(73,881)
ცვეთა პერიოდისთვის	(4,862)		(14,637)	(4,286)	(10,294)	(12,200)	(46,280)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა					(12,829)		(12,829)
ბალანსი 31/12/2022	328,601	2,500	195,427	12,863	237,874	39,171	816,435
ბალანსი 31/12/2019	-	-	-	-	-	1,450	1,450
ბალანსი 31/12/2020	21,310		162,463	11,871	243,487	45,232	484,365
ბალანსი 31/12/2021	333,463		151,275	16,493	334,877	36,874	872,983
ბალანსი 31/12/2022	328,601		195,427	12,863	237,874	39,171	816,435

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე, მათზე გადახდილი ავანსები, სახელფასო ვალდებულებები და სხვა მიმდინარე გადახდები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	472,240	192,718
სულ	472,240	192,718

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

შემოსავალი რეალიზაციიდან	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	3,975,637	6,971,927
ფასდათმობა	-	(2,010)
სულ	3,975,637	6,969,917

შპს სემბე
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის ხარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

	31.12.2022	31.12.2021
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,390,853	3,085,706
პირდაპირი ხელფასი	502,605	306,245
დამხმარე მასალების დანახარჯები / მეძენა	13,668	20,158
იჯარის ხარჯი	24,882	30,392
ელექტროენერგია და გაზი	5,425	8,909
საწვავის ხარჯი	212,892	123,511
პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯი	541,377	1,040,623
მივლინების ხარჯები	70,131	10,627
ტექნიკის რემონტის ხარჯები	3,487	13,575
თვითღირებულების სხვა ხარჯი	76,492	8,348
სულ თვითღირებულების ხარჯი	2,841,812	4,648,095